

2018 წლის 04 აპრილი
სსიპ საქართველოს ადვოკატთა
ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მისამართი:

ქ. თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. #36

სხდომა გაიმართა დისტანციურ რეჟიმში.

დღის წესრიგის საკითხების დისტანციურ რეჟიმში განხილვაში მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), მამუკა ნოზაძე, ირაკლი ყანდაშვილი, დათუნა მოდებაძე, გიორგი ტურაზაშვილი, მარიამ კუბლაშვილი, გიორგი თევზაძე, ციციწო ცხვედიანი, ზურაბ როსტიაშვილი.

დღის წესრიგი:

1. ასოციაციაში გაწევრიანება: ლიკა ძარია, მარიამი ჩიქოვანი, თამარ დანელია, თამილა პაპავა, მილენა მითაიშვილი, მაია ელიზბარაშვილი, მარიამი ჟღენტი, გიორგი ლულუნიშვილი, შოთა მეღუა, ანი ნასყიდაშვილი, როლანდი ლომაშვილი.
2. ადვოკატთა ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება: სოსო ოკუჯავა, რამაზ ხალვაში, ფარნაოზ ლემკაშელი, ნიკოლოზი გეგეშიძე, თენგიზ იაშვილი, გოჩა გელაშვილი, ნავოლის ქობულაია, მარინე ჭყონია, ესტატე მარგებაძე

3. საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ, 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების გაცნობა: **თამარ ფურცელაძე, ივანე კიკნაველიძე, ზაზა მეგრელიშვილი, 2018 წლის საწევრო დავალიანების მქონე პირები: ლევან მარეხიშვილი, ნინო ელბაქიძე, თამთა რეხვიაშვილი.**

4. აღმასრულებელი მდივნის - **გიორგი ჭეხანის** ინიციატივა: მიმდინარე წლის იანვარ-თებერვლის პერიოდში, ასოციაციის თანამშრომლის - ქეთევან ჯაფარიძის მიერ კომიტეტების კოორდინატორის შტატით გათვალისწინებული ფუნქციების დამატებით შესრულების გამო, დამატებითი საზღაურის გაცემის თაობაზე.

5. სხვადასხვა (განმცხადებელი: შპს „ადვოკატთა საგანმანათლებლო ცენტრი“; თემა „დირექტორთა მოვალეობები და პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძვლები საქართველოს კანონმდებლობაში“).

საკითხი #1:

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია გაწევრიანების მსურველი პირების (ლიკა მარია, მარიამი ჩიქოვანი, თამარ დანელია, თამილა პაპავა, მილენა მითაიშვილი, მათა ელიზბარაშვილი, მარიამი ჟღენტი, გიორგი ლულუნიშვილი, შოთა მეღუა, ანი ნასყიდაშვილი, როლანდი ლომაშვილი) მიერ წარმოდგენილი განცხადებების და თანდართული დოკუმენტაციის შესახებ, რომლებიც შესაბამისობაში იყო საქართველოს „კანონის ადვოკატთა“ შესახებ, მე-10 მუხლით დადგენილ მოთხოვნებთან.

მამუკა ნოზაძემ დააფიქსირა განსხვავებული მოსაზრება, რომ იგი არ უჭერს მხარს მილენა მითაიშვილის გაწევრიანებას, მიუხედავად იმისა, რომ მას დოკუმენტები სრულყოფილად აქვს წარმოდგენილი და აკმაყოფილებს გაწევრიანებისთვის საჭირო კრიტერიუმებს. არგუმენტი არის ის, რომ სამართლებრივი საფუძვლების გარდა, მნიშვნელოვანია ის ეთიკური და მორალური უნარ-ჩვევები, რომელსაც უნდა ფლობდეს ადვოკატი. მილენა მითაიშვილის თაობაზე მედიის საშუალებით უამრავი ინფორმაცია გავრცელდა, რომლითაც იგი ნეგატიურ პიროვნებად იქნა წარმოდგენილი და მ. ნოზაძე თვლის, რომ მსგავსი პიროვნებები არ უნდა იყვნენ ასოციაციის წევრები.

მარიამ კუბლაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ იგი იზიარებს მამუკა ნოზაძის პოზიციას მილენა მითაიშვილის გაწევრიანებაზე უარის თქმის თაობაზე.

განმცხადებლების (ლიკა ძარია, მარიამი ჩიქოვანი, თამარ დანელია, თამილა პაპავა, მათა ელიზბარაშვილი, მარიამი ჟღენტი, გიორგი ლულუნიშვილი, შოთა მელუა, ანი ნასყიდაშვილი, როლანდი ლომაშვილი) ასოციაციაში გაწევრიანების საკითხს მხარი დაუჭირა დღის წესრიგის საკითხების განხილვაში მონაწილე ყველა წევრმა; მილენა მითაიშვილი (მომხრე 7 - დავით ასათიანი (თავმჯდომარე), ირაკლი ყანდაშვილი, დათუნა მოდებამე, გიორგი ტურაზაშვილი, გიორგი თევზამე, ციცილო ცხვედიანი, ზურაბ როსტიაშვილი; წინააღმდეგი 2 - მამუკა ნოზამე, მარიამ კუბლაშვილი) შესაბამისად, მიღებულ იქნა

გადაწყვეტილება: ადვოკატთა შესახებ კანონის, მე-10 მუხლის შესაბამისად, დამსწრე წევრთა გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილდეს შემდეგ პირთა განცხადებები გაწევრიანების შესახებ: ლიკა ძარია, მარიამი ჩიქოვანი, თამარ დანელია, თამილა პაპავა, მათა ელიზბარაშვილი, მარიამი ჟღენტი, გიორგი ლულუნიშვილი, შოთა მელუა, ანი ნასყიდაშვილი, როლანდი ლომაშვილი, მილენა მითაიშვილი.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია განმცხადებელ მარინა კვიციას შესახებ: კერძოდ, 2018 წლის 16 თებერვალს აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით მას უარი ეთქვა გაწევრიანებაზე და წერილობით გაეგზავნა ინფორმაცია, რომლითაც განემარტა, რომ 2015 წლის 15 ოქტომბერს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება (განჩინება #1120194600981), რომლის თანახმად დაზუსტდა პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო შედეგების გავრცელების შესაძლებლობები საადვოკატო საქმიანობის დაწყებაზე, რაც ადასტურებს საპროკურორო პრაქტიკის მნიშვნელობას საადვოკატო საქმიანობის დაწყების მაკვალიფიცირებელი მოთხოვნებისთვის, კერძოდ, „ადვოკატთა შესახებ“, საქართველოს კანონის მე-11 მუხლის, მე-11 პუნქტით დადგენილი საადვოკატო საქმიანობის დაწყების 7 წლიანი ვადისთვის.

აღნიშნულ განჩინებაში მითითებული იყო, რომ პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატით ასოციაციაში გაწევრიანებისთვის, ზემოთ ხსენებულ ნორმებში მითითებული 7 წლიანი ვადა აითვლება არა გამოცდის ჩაბარებიდან, არამედ პროკურატურის ორგანოებში საქმიანობის შეწყვეტიდან. პროკურატურის ორგანოებში პრაქტიკის დაწყება ადასტურებს საადვოკატო საქმიანობის დაწყებაზე პრეტენდენტის სათანადო კვალიფიკაციას, რადგან პროკურატურის ორგანოებში სამსახური უკავშირდება პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდის დროს გამოვლენილი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში ინტენსიურ გამოყენებას.

განმცხადებელს - მარინე კვიციას პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა ჩაბარებული ჰქონდა 2003 წლის 15 თებერვალს და რადგან, მას არ ჰქონდა წარმოდგენილი პროკურატურის ორგანოებში მუშაობის დაწყების ან აღნიშნულ ორგანოებში საქმიანობის შეწყვეტის დამადასტურებელი დოკუმენტი, არამედ მის მიერ წარმოდგენილი იყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტიდან გაცემული დოკუმენტი აღნიშნული სამინისტროს უწყებაში გამომძიებლად მუშაობის შესახებ, რომელიც არ იყო დაკავშირებული პროკურატურის მუშაკთა

საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებასთან, აქედან გამომდინარე, საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ 21-ე მუხლის, მე-3 პუნქტის, „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მარინე კვიციას უარი ეთქვა გაწევრიანებაზე.

მიმდინარე წლის 14 მარტს, მან დამატებით წარმოადგინა განცხადება და შრომის წიგნაკის ასლი, რომლის თანახმად, 1996 - 2004 წლებში იგი მუშაობდა სოხუმის სამხედრო პროკურორის თანაშემწის/უფროსი თანაშემწის თანამდებობებზე. აღნიშნულ უწყებაში მ. კვიციას მუშაობის შეწყვეტიდან 7 წელი ამოიწურა 2011 წელს.

წევრების მიერ აღნიშნულ იქნა, რომ 2015 წლის 15 ოქტომბერს უზენაესი სასამართლოს #1120194600981 განჩინებაში, რომლითაც დაზუსტდა პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგების გავრცელების გარემოებები საადვოკატო საქმიანობის დაწყებაზე, მითითებულია, რომ პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატით ასოციაციაში გაწევრიანებისთვის, საქართველოს კანონის მე-11 მუხლის, მე-11 პუნქტით დადგენილი საადვოკატო საქმიანობის დაწყების 7 წლიანი ვადისთვის, **აღნიშნული ვადა აითვლება არა გამოცდის ჩაბარებიდან, არამედ პროკურატურის ორგანოებში საქმიანობის შეწყვეტიდან.** აღნიშნული 7 წლიანი ვადის გათვალისწინებით, **მარინა კვიციას** მიერ მიმდინარე წლის 14 მარტს წარმოდგენილი შრომითი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის (შრომის წიგნაკის ასლი) თანახმად, სოხუმის სამხედრო პროკურატურაში მისი მუშაობის შეწყვეტიდან 7 წელი ამოიწურა 2011 წელს, შესაბამისად, მარინე კვიციას განცხადება არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს მარინე კვიციას განცხადება გაწევრიანების შესახებ. განცხადების ავტორს წერილობით ეცნობოს გადაწყვეტილების შესახებ.

საკითხი #2:

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ადვოკატთა ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების მსურველთა (სოსო ოკუჯავა, რამაზ ხალვაში, ფარნაოზ ლემკაშელი, ნიკოლოზი გეგეშიძე, თენგიზ იაშვილი, გოჩა გელაშვილი, ნავოლის ქობულაია, მარინე ჭყონია, ესტატე მარგებაძე) მიერ წარმოდგენილი განცხადებები და თანდართული დოკუმენტები შესაბამისობაშია საქართველოს „კანონის ადვოკატთა“ შესახებ, მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

ზემოაღნიშნული განმცხადებლების ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების საკითხს მხარი დაუჭირა დღის წესრიგის საკითხების განხილვაში მონაწილე ყველა წევრმა. შესაბამისად, მიღებულ იქნა

გადაწყვეტილება: საქართველოს კანონის „ ადვოკატთა“ შესახებ, მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილებულ იქნას ხელახლა გაწევრიანებისთვის წარმოდგენილი განცხადებები (სოსო ოკუჯავა, რამაზ ხალვაში, ფარნაოზ ლეშაშელი, ნიკოლოზი გეგეშიძე, თენგიზ იაშვილი, გოჩა გელაშვილი, ნავოლის ქობულია, მარინე ჭყონია, ესტატი მარგებაძე).

საკითხი #3:

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ კანონის ადვოკატთა შესახებ, 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად წევრობის შეჩერების შესახებ განმცხადებლებს - **თამარ ფურცელაძეს, ივანე კიკნაველიძეს, ზაზა მეგრელიშვილს** არ გააჩნიათ საწევრო დავალიანება, ხოლო **ლევან მარეხიშვილს, ნინო ელბაქიძეს და თამთა რეხვიაშვილს** 2018 წლის საწევრო აქვთ გადასახდელი ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად.

წევრების მიერ გაკეთდა განმარტება, რომ ჩამოთვლილ პირთაგან, რომელთაც ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, 2018 წლის საწევრო აქვთ გადასახდელი, ეცნობოთ, რომ საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ, 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატისთვის წევრობის შეჩერების შესახებ. თუმცა წევრობის შეჩერება მანამდე არსებული დავალიანების გაუქმების საფუძველი არ არის და ამავე კანონის 21³ მუხლის პირველი პუნქტის, „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს შეუწყდება ასოციაციის წევრობა. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს 2012 წლის 30 მაისის ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად:

“საწევრო დავალიანების მქონე პირს, რომელიც მომართავს ასოციაციას პირადი განცხადებით, წევრობის შეჩერების შესახებ, საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 21³ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით), „ა“ ქვეპუნქტის (პირადი განცხადების საფუძველზე) თანახმად, დაუკმაყოფილდეს განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ; თუმცა წევრობის შეჩერება არ გახდება უკვე არსებული საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების საფუძველი, რომლის გადახდის ვალდებულება პირს წევრობის შეჩერებამდე, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის (ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდება ყოვეწლიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე) თანახმად წარმოემვა. საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, უფლებამოსილებაშეჩერებულ ადვოკატს, საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“, 21³ მუხლის, 1 პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუწყდება), „ზ“ ქვეპუნქტის (თუ არ იხდის საწევრო გადასახადს) თანახმად, შეუწყდება ასოციაციის წევრობა“.

მიღებულ იქნა

გადაწყვეტილება: საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ყველა ზემოთჩამოთვლილ პირთა განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ. 2018 წლის საწევრო დავალიანების არსებობის შემთხვევაში, შესაბამის პირებს წერილობით ეცნობოთ ინფორმაცია მათ მიმართ არსებული საწევრო დავალიანების და 2012 წლის 30 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, რომ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში მათ შეუწყდებათ წევრობა.

საკითხი #4:

წევრები გაეცნენ აღმასრულებელი მდივნის - **გიორგი ჭეხანის** ინიციატივას მიმდინარე წლის იანვარ-თებერვლის პერიოდში, ასოციაციის თანამშრომლის - ქეთევან ჯაფარიძის მიერ კომიტეტების კოორდინატორის შტატით გათვალისწინებული ფუნქციების დამატებით შესრულების გამო, დამატებითი საზღაურის გაცემის თაობაზე და ინიციატივის დასაბუთებას, რომლის თანახმად, აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, ქეთევან ჯაფარიძემ ზეგანაკვეთურ დროში, სრულყოფილად შეასრულა საკმაოდ დიდი მოცულობის დამატებითი სამუშაო, რაც გათვალისწინებული იყო ზემოხსენებული შტატის ფუნქციებით, რის გამოც მიზანშეწონილია, ასოციაციის აპარატის შინაგაწესის მე-5 მუხლის, მე-10 მუხლის თანახმად, მისთვის დამატებითი საზღაურის განსაზღვრა 625 (ექვსასოცდახუთი) ლარის ოდენობით (დარიცხული).

აღნიშნულ საკითხზე წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა. მიღებულ იქნა

გადაწყვეტილება: ასოციაციის აპარატის შინაგაწესის მე-5 მუხლის, მე-10 მუხლის თანახმად, ქეთევან ჯაფარიძეს მიეცეს დამატებითი საზღაური 625 (ექვსასოცდახუთი) ლარის ოდენობით (დარიცხული).

საკითხი #5:

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ შპს „ადვოკატთა საგანმანათლებლო ცენტრი“-ს განაცხადი აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე (თემა „დირექტორთა მოვალეობები და პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძვლები საქართველოს კანონმდებლობაში“) სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის წესებთან და დართული აქვს საჭირო დოკუმენტაცია.

აღნიშნულ საკითხს მხარი დაუჭირა დღის წესრიგის საკითხების განხილვაში მონაწილე ყველა წევრმა. შესაბამისად, მიღებულ იქნა

გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს შპს „ადვოკატთა საგანმანათლებლო ცენტრის“ განაცხადი

აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე და აკრედიტაცია მიენიჭოს თემას „დირექტორთა მოვალეობები და პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძვლები საქართველოს კანონმდებლობაში“.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. #6).

დავით ასათიანი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა
ასოციაციის თავმჯდომარე